

პროექტის მოკლე ანოტაცია

ქვეყანა	საქართველო
პროექტის სახელწოდება:	ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი
ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	45956
ეკონომიკის დარგი:	მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა, მყარი ნარჩენები
საჯარო თუ კერძო სექტორი:	საჯარო სექტორი
დირექტორთა საბჭოს სხდომის თარიღი:	2014 წლის 26 ნოემბერი
სტატუსი:	გავლილი აქვს კონცეპტუალური განხილვის ეტაპი
პროექტის მოკლე ანოტაციის განსაჯაროების თარიღი:	25 სექტემბერი 2014
პროექტის აღწერა და მიზნები:	<p>ევრობანკი გეგმავს საქართველოს გამოუყოს 7 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი, რომლის გადასესხება მოხდება ქვემო ქართლის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტისათვის: მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა (შემდგომში „პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტები“) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისათვის“ (შემდგომში „კომპანია“).</p> <p>პროექტის თანადაფინანსება მოხდება საერთაშორისო დონორის მიერ გამოყოფილი 3 მილიონი ევროს ოდენობის გრანტით.</p> <p>პროექტით დაფინანსდება რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მარნეულის მუნიციპალიტეტში. სანიტარული ნაგავსაყრელი,</p>

რომელიც პროექტში მონაწილე ხუთ მუნიციპალიტეტს მოემსახურება, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი იქნება. პროექტი ასევე გულისხმობს მანქანა-დანადგარების, ნაგვის კონტეინერებისა და სხვა აპარატურის შეძენას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად.

ამასთანავე, პროექტით მოხდება კომპანიის და პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტების ინსტიტუციონალური განვითარება.

გარდაქმნის ეფექტი:	<p>პროექტის ფარგლებში მოიაზრება შემდეგი სახის გარდაქმნის ეფექტი:</p> <ul style="list-style-type: none">• სატარიფო რეფორმის განხორციელება ხელმისაწვდომობის ფარგლებში,• ნარჩენების გატანის მომსახურების არეალის გაფართოება,• ნარჩენების გატანის ტარიფების გაუმჯობესებული დარიცხვა და მომსახურების საფასურის ამოღება,• პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტებსა და კომპანიას შორის საკონტრაქტო ურთიერთობების დამყარება,• კომპანიის საოპერაციო საქმიანობისა და ფინანსური მართვის გაუმჯობესება.
კლიენტი:	საქართველოს მთავრობა, კომპანია და პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტები.
ევრობანკის დაფინანსება:	საქართველოსთვის 7 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი, რომლის თანადაფინანსებაც განხორციელდება საერთაშორისო დონორის მიერ გამოყოფილი 3 მილიონი ევროს ოდენობის გრანტით. თანხები გადაერიცხება კომპანიასა და პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტებს.
პროექტის ჯამური ღირებულება:	<p>პროექტის ჯამური ღირებულებაა 10 მილიონი ევრო, რაც მოიცავს საერთაშორისო დონორის მიერ გამოყოფილ თანადაფინანსებას.</p> <p>პროექტი ასევე მოიცავს ტექნიკურ თანამშრომლობას, რაც მოხმარდება პროექტის განხორციელებასა და კომპანიის კორპორატიულ განვითარებას. ის აგრეთვე დაეხმარება პროექტში მონაწილე მუნიციპალიტეტებს რეფორმების განხორციელებაში.</p>
გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიზაცია, გავლენა და ზიანის	წინასწარი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების საფუძველზე პროექტს მიენიჭა B კატეგორია. ხსენებული შეფასება განხორციელდა ევრობანკის გუნდის ადგილზე ვიზიტის შედეგად. აგრეთვე გამოყენებული იქნა ევროკავშირის დაფინანსებით

განეიტრალება:

ნაგავსაყრელის ადგილის შეჩვევის თემაზე არსებული ანგარიშები. შეფასების დროს არ გამოვლენილა რაიმე სახის მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი ან რისკი. ირკვევა, რომ ნაგავსაყრელისთვის შემოთავაზებული ადგილი ძირითადად თიხის მიწისგან შედგება და ქვედა ფენები წყალგაჯერებული არ არის. ეს ადგილი გეოლოგიურად სტაბილურია. მის სიახლოვეს წყალსაცავები არ არსებობს. ასევე, ადგილი მდებარეობს დაბალნალექიან და მაღალი აორთქლების თვისებით გამორჩეულ ტერიტორიაზე. ამდენად, მოსალოდნელია, დაბალი იყოს გამოტუტვის პოტენციალი. ეს ადგილი შორს არის დასახლებული ტერიტორიიდან. არც ადამიანების ფიზიკური გადასახლება ან სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის ადგილმონაცვლეობა გახდება საჭირო. ამ ინფორმაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ეფექტი კონკრეტული ადგილით შემოიფარგლება. მათი იოლი იდენტიფიცირება და მოგვარება შესაძლებელია ეფექტის განეიტრალების ზომების საშუალებით. ამდენად, პროექტი B კატეგორიას მიეკუთვნა.

პროექტი მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს ქვემო ქართლის რეგიონს გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მხრივ, რადგან გაუმჯობესდება და მოწესრიგდება ნარჩენების გატანის, ტრანსპორტირების და განადგურების მომსახურება, გაიზრდება საოპერაციო ეფექტურობა, გარემოსდაცვითი და ჰიგიენის სტანდარტები. პროექტის შედეგად დაიხურება არსებული ნაგავსაყრელები, რომლებიც ამჟამად მყარი ნარჩენების კომპანიის მიერ იმართება. ამ ტერიტორიების დახურვა მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ მოქალაქეების, მათ შორის კომპანიის თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, არამედ გარემოს. არსებული ნაგავსაყრელების დახურვა არ დაფინანსდება ევრობანკის მიერ, თუმცა, იურიდიული ხელშეკრულებების ფარგლებში ეს პირობა მოთხოვნილი იქნება.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული შესწავლა, რომელიც ამჟამად ხორციელდება დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ, მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს მართვის პრაქტიკის მიმოხილვას და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის არსებული ობიექტებისა და საქმიანობის შესწავლას. ამ ინიციატივის ფარგლებში ასევე

ჩატარდება გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ანალიზი.

პროექტის წინამდებარე მოკლე ანოტაცია განახლდება მას შემდეგ, რაც დასრულდება გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული შესწავლა.

ტექნიკური თანამშრომლობა:

პროექტის ფარგლებში მოაზრებულია შემდეგი სახის ტექნიკური თანამშრომლობის ინიციატივები:

საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე:

- TC 1 კომპონენტი: ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტის „ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა“, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ და ტექნიკურ საკითხებს, ასევე ნაგავსაყრელისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის საინჟინრო ნახაზების მომზადებას. ამ კომპონენტისთვის შვედეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი დაფინანსება მოიცავს 280,000 ევროს.
- TC 2 კომპონენტი: გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გამოკვლევა. ამ კომპონენტის სავარაუდო ღირებულებაა 72,923 ევრო, რომელსაც ევრობანკი საკუთარი რესურსებიდან დააფინანსებს.
- TC 3 კომპონენტი: კომპანიის საბუღალტრო ანგარიშების აუდიტი და შეფასება. ტექნიკური თანამშრომლობის ეს კომპონენტი მოხმარდება კომპანიის საბუღალტრო ანგარიშების გადაყვანას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშების სტანდარტებზე, იმისათვის, რომ საბაზისო მონაცემები ხელმისაწვდომი გახდეს ევრობანკისათვის შეფასების მოსამზადებლად. კომპონენტის სავარაუდო ხარჯია 18,420 ევრო, რომელსაც ევრობანკი საკუთარი რესურსებიდან გაიღებს.

საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ:

- TC 4 კომპონენტი: პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად ტექნიკური თანამშრომლობის ეს კომპონენტი პროექტის განმახორციელებელ ერთეულს დაეხმარება შესყიდვების წარმოებაში, სატენდერო განცხადების მომზადებასა და შემოსული განცხადების შეფასებაში, კონტრაქტების გაფორმებასა და ადმინისტრირებაში, ფინანსურ კონტროლში,

პროექტის მართვასა და ანგარიშგებაში. ამ კომპონენტის სავარაუდო ღირებულებაა 600,000 ევრო, რომელიც გამოიყოფა ორმხრივი ან მრავალმხრივი დონორის მიერ, ან ევრობანკის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან.

- TC 5 კომპონენტი: კორპორატიული განვითარება და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამა. ტექნიკური თანამშრომლობის ამ კომპონენტით მოხდება: (i) ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერა კომპანიის ფუნქციონირებისა და ფინანსური გაუმჯობესების გზით, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის მდგრადი განვითარება და გარანტირებული იქნეს ევრობანკის ფინანსურ დოკუმენტებში მოცემული პირობების შესრულება. (ii) „დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამის“ განხორციელება, რაც გამიზნული იქნება საზოგადოების მიერ პროექტის გათავისებისკენ, რათა მოხდეს ნარჩენების მოცულობის შემცირება და წყაროსთან მათი სეპარაცია, გაიზარდოს საზოგადოების მონაწილეობა მყარი ნარჩენების მომსახურების უზრუნველყოფაში (მომსახურების ხარისხი, სარეაბილიტაციო საქმიანობა, ტარიფის განსაზღვრისას სიღარიბის დონისა და სოციალური საკითხების გათვალისწინება), აგრეთვე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ კომპონენტის სავარაუდო ხარჯია 500,000 ევრო, რომელიც შემოთავაზებულია დაფინანსებული იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი დონორის მიერ, ან ევრობანკის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან.

შესყიდვების და სატენდერო შესაძლებლობები:	იხილეთ ინტერნეტში გვერდი EBRD Procurement კითხვებით მოგვმართეთ: ტელ: +44 20 7338 6794; ფაქსი: +44 20 7338 7472 ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com
ზოგადი ინფორმაცია:	ევრობანკის პროექტებთან დაკავშირებით (შესყიდვების საკითხის გარდა) შეგიძლიათ მოგვმართოთ: ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380 ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com
ინფორმაციის განსაჯაროების პოლიტიკა	ინფორმაციის განსაჯაროების პოლიტიკა განსაზღვრავს ევრობანკის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პირობებს, რათა გაუმჯობესდეს

	<p>მისი სტრატეგიის, პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ საზოგადოების შემეცნება და აღქმა.</p> <p>ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკის ტექსტის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm</p>
<p>პროექტის ფარგლებში სადავო საკითხების გასაჩივრების მექანიზმი</p>	<p>პროექტების ფარგლებში ევრობანკს დაწესებული აქვს „სადავო საკითხების გასაჩივრების მექანიზმი“, რათა არსებობდეს ცალკეული მოქალაქეების, ორგანიზაციების ან მოქალაქეთა ჯგუფების საჩივრების დამოუკიდებელი მიმოხილვის შესაძლებლობა ბანკის მიერ დაფინანსებულ იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომელთაც მიიჩნევა, რომ სავარაუდოდ შეეძლო ზიანი მოეტანა წარსულში, ან მოაქვს ამჟამად ან მოიტანს მომავალში. გასაჩივრების პროცედურები და წესები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf, ხოლო თარგმანი რუსულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf</p> <p>პროექტების ფარგლებში „სადავო საკითხების გასაჩივრების მექანიზმის“ ფარგლებში ნებისმიერი განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს ევრობანკის რესურსის ბოლო განაწილებიდან არა უგვიანეს 12 თვის ვადაში. დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ გასაჩივრების ოფიცერს შემდეგ ელ. მისამართზე (pcm@ebrd.com). თუ გსურთ მეტი ინფორმაცია მიიღოთ გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დახმარებისთვის მიმართოთ ევრობანკის შესაბამისი ქვეყნის წარმომადგენლობას.</p>